სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების კონსოლიდირებული მოძრაობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1	ზოგადი ინფორმაცია	9
2	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
3	კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	22
4	ფული და ფულის ეკვივალენტები	22
5	დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	23
6	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23
7	ძირითადი საშუალებები	24
8	არამატერიალური აქტივები	25
9	ინვესტიცია ფასიან ქაღალდებში	26
10	წინასწარი გადახდა	26
11	კრედიტორული და სხვა დავალიანება	26
12	გადასახდელი ხელფასი და პრემია	27
13	საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულება	27
14	საკუთარი კაპიტალი	28
15	საკომისიო და საწევრო შემოსავლები	28
16	მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი	29
17	ხელფასის და პრემიის ხარჯი	29
18	სხვა საოპერაციო ხარჯი	29
19	ფინანსური შემოსავალი	30
20	კურსთაშორის სხვაობით მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	30
21	ფინანსური აქტივების გაუფასურება	30
22	არასაოპერაციო შემოსავალი	31
23	დაკავშირებული მხარეები	31
24	პირობითი ვალდებულებები	32
25	ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ	34
26	საწარმოს უწყვეტობის განხილვა	39
27	საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	39

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს "საქართველოს საფონდო ბირჟის" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი, აგრეთვე, პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

გიორგი ფარესიშვილი	ნინო ქურდიანი
გენერალური დირექტორი	ფინანსური დირექტორი

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

თარიღი: 31 მარტი, 2021

Moore Abc, LLC
6 Marjanishvili Street
0102, Tbilisi, Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moore.ge

www.moore-georgia.ge

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა
სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს "საქართველოს საფონდო ბირჟის" და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი") თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა და კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან საღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

• ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

• შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

• ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

• დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

• ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობისას ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა, ვადების და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი
ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 31 მარტი, 2021
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

• მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობისას ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა, ვადების და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი
ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 31 მარტი, 2021
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-20	31-დეკ-19
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	1,705,351	1,515,820
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივების მიმდინარე წილი	5	18,563	410,006
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	122,999	72,045
საგადასახადო აქტივი	13	27,965	20,014
სულ მიმდინარე აქტივები		**1,874,878**	**2,017,885**
ძირითადი საშუალებები	7	51,529	28,519
არამატერიალური აქტივები	8	2,190,206	2,101,369
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	5	197,688	173,149
ინვესტიცია ფასიან ქაღალდებში	9	54,085	54,085
წინასწარი გადახდა	10	942	24,494
სულ გრძელვადიანი აქტივები		**2,494,450**	**2,381,616**
სულ აქტივები		**4,369,328**	**4,399,501**
კრედიტორული და სხვა დავალიანება	11	82,239	97,713
გადასახდელი ხელფასი და პრემია	12	158,971	75,485
საგადასახადო ვალდებულება	13	58,809	90,490
გადასახდელი დივიდენდები		162	610
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**300,181**	**264,298**
გრძელვადიანი ვალდებულება	8	230,820	394,869
სულ ვალდებულებები		**531,001**	**659,167**
სააქციო კაპიტალი	14	30,000	30,000
საემისიო კაპიტალი	14	117,452	117,452
გაუნაწილებელი მოგება		1,351,684	1,341,242
უმცირესობის წილი		2,339,191	2,251,640
სულ კაპიტალი		**3,838,327**	**3,740,334**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**4,369,328**	**4,399,501**

გიორგი ფარესიშვილი
გენერალური დირექტორი

ნინო ქურდიანი
ფინანსური დირექტორი

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

თარიღი: 31 მარტი, 2021

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019
საკომისიო და საწევრო შემოსავლები	15	216,516	239,030
მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი	16	756,466	408,776
სხვა საოპერაციო შემოსავალი		4,077	11,218
სულ შემოსავლები		**977,059**	**659,024**
ხელფასის და პრემიის ხარჯი	17	(753,672)	(762,538)
იჯარა და კომუნალური ხარჯები		(136,620)	(128,105)
ცვეთა და ამორტიზაცია	7; 8	(49,914)	(29,935)
საკონსულტაციო ხარჯი		(44,505)	(45,837)
კომუნიკაციის ხარჯი		(14,074)	(13,267)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ნაზრდი/(ხარჯი)	21	(11,705)	5,163
სხვა საოპერაციო ხარჯი	18	(126,263)	(93,079)
ფინანსური შემოსავალი	19	54,426	79,560
არასაოპერაციო შემოსავალი	22	32,244	983
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება	20	171,017	57,187
მიმდინარე წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		**97,993**	**(270,843)**
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		**97,993**	**(270,843)**
განაწილება:			
ჯგუფის აქციონერებზე		**10,442**	**(191,931)**
არამაკონტროლებელ წილზე		**87,551**	**(78,912)**
სულ		**97,993**	**(270,843)**
მოგება / (ზარალი) ერთ აქციაზე		**0.03**	**(0.09)**
მოგება / (ზარალი) ერთ აქციაზე მშობელი კომპანიის მფლობელებისთვის		**0.00**	**(0.06)**

გიორგი ფარესიშვილი
გენერალური დირექტორი

ნინო ქურდიანი
ფინანსური დირექტორი

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

თარიღი: 31 მარტი, 2021

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		897,106	625,977
მომწოდებლებისთვის და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(963,786)	(1,082,219)
მიღებული პროცენტი		48,867	78,793
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**(17,813)**	**(377,449)**
შემოსავალი დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებიდან		429,996	593,422
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივის წმინდა ზრდა		-	530,912
არამატერიალური აქტივების შეძენა		(393,443)	(857,756)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**36,553**	**266,579**
უმცირესობის წილის შენატანი კაპიტალში		-	1,000,008
აქციების გამოშვებით მიღებული შემოსავალი		-	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		**-**	**1,000,008**
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში		**18,740**	**889,138**
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		1,515,820	635,681
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		170,791	(8,999)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**4**	**1,705,351**	**1,515,820**

გიორგი ფარესიშვილი
გენერალური დირექტორი

ნინო ქურდიანი
ფინანსური დირექტორი

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

თარიღი: 31 მარტი, 2021

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯგუფის კუთვნილი წილი	არამაკონტროლებელი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**30,000**	**117,452**	**1,275,343**	**1,422,795**	**1,588,373**	**3,011,168**
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)	-	-	(191,931)	**(191,931)**	(78,912)	**(270,843)**
აქციების ემისია	-	-	257,829	**257,829**	742,179	**1,000,008**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**30,000**	**117,452**	**1,341,242**	**1,488,694**	**2,251,640**	**3,740,334**
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)	-	-	10,442	**10,442**	87,551	**97,993**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**30,000**	**117,452**	**1,351,684**	**1,499,136**	**2,339,191**	**3,838,327**

გიორგი ფარესიშვილი
გენერალური დირექტორი

ნინო ქურდიანი
ფინანსური დირექტორი

სს საქართველოს საფონდო ბირჟა

თარიღი: 31 მარტი, 2021

1 ზოგადი ინფორმაცია

სააქციო საზოგადოება "საქართველოს საფონდო ბირჟა" (შემდგომში "კომპანია") დაფუძნდა 1999 წლის 12 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: ილია ჭავჭავაძის გამზირი 74ა, თბილისი.

კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიების ("ჯგუფი", იხ. შენიშვნა 2.5) ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვება, საჯარო ვაჭრობის ორგანიზება დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად, დადებულ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის გავრცელება; ფასიანი ქაღალდებით საფონდო ბირჟაზე დადებული გარიგებების ანგარიშსწორება და ფასიანი ქაღალდების შენახვა-აღრიცხვა არამატერიალიზებული ფორმით; ფასიანი ქაღალდებს რეესტრების წარმოება.

კომპანიის ძირითადი აქციონერები არიან: შპს "თიბისი კაპიტალი" (17.33%), შპს "ჯი სი ეფ ჰოლდინგს ჯორჯია" (15.33%) და სს "გალტ ენდ თაგარტი" (17.33% (მათ შორის 2% ნომინალური მფლობელობით)). აღნიშნული აქციონერები ასევე არიან ჯგუფში შემავალი შვილობილი კომპანიის სს "თბილისის საფონდო ბირჟის" 72.13% წილის მფლობელები (იხ. შენიშვნა 2.5), რომელსაც ჯგუფი კონსოლიდაციის მიზნებისთვის აღიარებს, როგორც არამაკონტროლებელ წილს.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებული სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების და კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

ჯგუფი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ბუნების მიხედვით. ჯგუფის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგან იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

2.2 შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.2 შეფასების საფუძველი (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1 -ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები);

2.3 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

2020 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ცვლილებები:

ა) ბიზნესის განმარტება - შესწორებები ფასს 3 -ში;
ბ) არსებითობის განმარტება - შესწორებები ბასს 1 -სა და ბასს 8 -ში;
გ) შესწორებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში;
დ) საპროცენტო განაკვეთის შეფასების რეფორმა - შესწორებები ფასს 7 , ფასს 9- სა და ბასს 39 -ში.

ცვლილებებს არ ჰქონია არსებითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.4 ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისათვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ მიუღია. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ცვლილებები:

ა) *სადაზღვევო ხელშეკრულებები - ფასს 17;*

ბ) *ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი - შესწორებები ბასს 1 -ში;*

გ) *ძირითადი საშუალებები: შემოსავლები მიზნობრივ გამოყენებამდე - შესწორებები ბასს 16 -ში;*

დ) *მითითება კონცეპტუალურ საფუძვლებში - შესწორებები ფასს 3 -ში;*

ე) წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება - შესწორებები ბასს 37-ში;

ვ) 2018–2020 წლის ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება;

ზ) აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის - შესწორებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში;

თ) საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკის რეფორმა - შესწორებები ფასს *4, ფასს 7, ფასს 9, ფასსს 16 -სა და ბასს 39 -ში;*

ჯგუფი არ მოელის სტანდარტების ძალაში შესვლამ არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

2.5 კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილ კომპანიას წარმოადგენს ისეთი საწარმო, სადაც დედა კომპანიას გააჩნია საარჩევნო ხმების რაოდენობის ნახევარზე მეტი ან შესწევს უნარი აკონტროლოს ამ კომპანიის ოპერაციები და ფინანსური აქტივები. ამ შემთხვევაში ხდება კონსოლიდაცია. შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია ხდება იმ დღიდან, როდესაც დედა კომპანიაზე გადავიდა კონტროლი და წყდება იმ დღეს, როდესაც დედა კომპანია კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-ჯგუფური ტრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის იქვითება მთლიანად.

შვილობილი კომპანიის შეძენის აღსარიცხავად გამოიყენება შეძენის მეთოდი. შესყიდული აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად განისაზღვრება მათი რეალური ღირებულებით შესყიდვის თარიღისთვის. თუ შესყიდვის ღირებულება აჭარბებს კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებას, მაშინ ხდება გუდვილის აღიარება. თუ შესყიდვის ღირებულება ნაკლებია კომპანიის რეალურ ღირებულებაზე, მაშინ ეს სხვაობა აღიარდება პირდაპირ კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უმცირესობის წილი არის წილი შვილობილ კომპანიაში, რომელიც არ ეკუთვნის დედა კომპანიას. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არსებული უმცირესობის წილი წარმოადგენს შვილობილი კომპანიის უმცირესობაში მყოფი აქციონერების წილის ღირებულებას. ჯგუფი არამაკონტროლებელ წილს აფასებს შვილობილის წმინდა აქტივების პროპორციული წილის მიხედვით.

ჯგუფის შიგნით მომხდარი წილების ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება როგორც ტრანზაქცია ჯგუფის წევრებს შორის. ჯგუფის და არამაკონტროლებელი წილების საბალანსო ღირებულება კორექტირდება იმის შესაბამისად, თუ როგორ შეიცვალა მფლობელების წილი შვილობილებში. ნებისმიერი სხვაობა მიღებული კომპენსაციის სამართლიან ღირებულებასა და არამაკონტროლებელი წილის ნაშთის ცვლილებას შორის, აღიარდება პირდაპირ კაპიტალის მუხლში, რომელიც მიეკუთვნება დედა კომპანიის მფლობელებს.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.5 კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

მეკავშირეა კომპანია, რომელზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი ზეგავლენა. ინვესტიცია მეკავშირე კომპანიაში აღირიცხება კაპიტალ მეთოდით.

ჯგუფი მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს, რომლებიც კონსოლიდირებულია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში:

		2020		2019	
	მისამართი	**მფლობელობა**	**ლარი**	**მფლობელობა**	**ლარი**
სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"	**ვაჟა ფშაველას გამზირი 71**				
პირდაპირი ფლობა		16.70%	100,000	16.70%	100,000
არაპირდაპირი ფლობა		23.16%	-	23.16%	-
სს "თბილისის საფინდო ბირჟა"	**ვაჟა ფშაველას გამზირი 71**				
პირდაპირი ფლობა		27.87%	100,000	27.87%	100,000
სს "კავკასრეესტრი"	**ვაჟა ფშაველას გამზირი 71**				
პირდაპირი ფლობა		57.86%	9,134	57.86%	9,134
სულ			**209,134**		**209,134**

კომპანია სს "თბილისის საფონდო ბირჟა" ("თსბ") დაფუძნდა 2015 წლის 7 მაისს. დაფუძნების მიზანი იყო ბიზნესის განვითარებისთვის სახსრების დაუბრკოლებლად მოზიდვა "თსბ-ს" აქციების რეალიზაციის გზით (კომპანიას საკუთარი სააქციო კაპიტალის გაზრდა წესდების თანახმად, არ შეუძლია აქციონერთა 75%-ის თანხმობის გარეშე). კომპანიის მინორიტარმა აქციონერებმა, რომლებიც ფლობენ დამფუძნებლის აქციათა 38%-ს, სასამართლოში გაასაჩივრეს "თსბ"-ს დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილება. 2021 წლის თებერვალში აღნიშნული დავა უზენაეს სასამართლოში დასრულდა კომპანიის და "თსბ"-ს სასარგებლოდ. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას. (ინფორმაცია მიმდინარე სასამართლო დავებთან დაკავშირებით იხილეთ 24-ე განმარტებით შენიშვნაში).

2019 წლის განმავლობაში "თსბ"-მ გამოუშვა 74,907 აქცია, რომელიც შეისყიდა სს "გალტ ენდ თაგარტმა", შპს "თიბისი კაპიტალმა" და შპს "ჯი სი ეფ ჰოლდინგს ჯორჯიამ". აქციების გაყიდვიდან "თსბ"-ს მიერ მიღებულმა კომპენსაციამ შეადგინა 1,000,008 ლარი, რის შემდეგაც წილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

	31-დეკ-2020	**31-დეკ-2019**
"საქართველოს საფონდო ბირჟა"	27.87%	27.87%
სს "გალტ ენდ თაგარტი"	24.04%	24.04%
შპს "თიბისი კაპიტალი"	24.04%	24.04%
შპს "ჯი სი ეფ ჰოლდინგს ჯორჯია"	24.04%	24.04%
	100.00%	**100.00%**

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.5 კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას შეუმცირდა წილი სს "თსბ-ში" 27.87%-მდე, იგი მაინც ინარჩუნებს კონტროლს მასზე, და მის შედეგებს ასახავს საკუთარ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. კონტროლი შენარჩუნებულია შემდეგი ფაქტებით:

- "თსბ"-ს სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შემავალი პირები ასევე არიან დამფუძნებელი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები.
- "თსბ-ის" დანარჩენი აქციონერები ამავდროულად არიან დამფუძნებელი კომპანიის აქციონერები პირდაპირ ან დაკავშირებული მხარეების (საერთო საბოლოო ბენეფიციარი მფლობელის) მეშვეობით. ეს აქციონერები ერთობლივად ფლობენ "თსბ"-ის 72.13%-ს (2019: 72.13%) და დამფუძნებლის 49.99%-ს (2019: 49.99%).
- დამფუძნებელ კომპანიას და "თსბ-ს" ჰყავს ერთი და იგივე გენერალური დირექტორი.

2019 წლის 2 დეკემბერს "თსბ"-მ შეისყიდა "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის" 193,211 ცალი ჩვეულებრივი აქცია, საერთო ღირებულებით 700,003 ლარი. ამ ინვესტიციით "თსბ" გახდა "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის" 83.10% წილის მფლობელი. აღნიშნული გარიგებების შედეგად, სს "საქართველოს საფონდო ბირჟა" 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარში" აკონტროლებს 39.86%-ს (აქედან არაპირდაპირ სს "თბილისის საფონდო ბირჟის" საშუალებით 23.16%-ს და ასახავს მას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის 2019 წლის დეკემბერში განხორციელებული ოპერაცია წარმოადგენს შიდაჯგუფურ ოპერაციას, რის გამოც ტრანზაქციის შედეგად მიღებული შემოსავლები ელიმინირდება კონსოლიდირებულ ფინანასურ ანგარიშგებაში, იცვლება მხოლოდ წილების გადანაწილება, მაკონტროლებელ და არამაკონტროლებლებს შორის, რის შედეგადაც ჯგუფში გაიზარდა არამაკონტროლებელი წილი.

სს "კავკასრეესტრი" 2015 წლის 1 ოქტომბრამდე წარმოადგენდა მეკავშირე კომპანიას, რადგან კომპანიას სს "კავკასრეესტრზე" ჰქონდა მნიშვნელოვანი ზეგავლენა და არა კონტროლი. 2015 წლის 1 ოქტომბრიდან კომპანიამ სს "კავკასრეესტრზე" მოიპოვა კონტროლი. სს "კავკასრეესტრი" ძირითადად ფლობს მაღალლიკვიდურ აქტივებს (ფული და ფულის ეკვივალენტები და სხვა ფინანსური აქტივები) და შესაბამისად მისი წმინდა აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულება წარმოადგენდა მათ რეალურ ღირებულებას 2015 წლის 1 ოქტომბერს. ამ თარიღამდე კომპანია ინვესტიციას სს "კავკასრეესტრში", როგორც მეკავშირე კომპანიაში, აღრიცხავდა კაპიტალის მეთოდით და 2015 წლის 1 ოქტომბერს ამ მეთოდით აღრიცხული ინვესტიციის ღირებულება არ განსხვავდებოდა სს "კავკასრეესტრის" წმინდა აქტივების ღირებულებისგან.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფი ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც ჯგუფი მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც ჯგუფი მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით", თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, ჯგუფი ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრულ შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება-ზარალში.

ამასთანავე, დებიტორული დავალიანებები, რომლებიც არ გაუფასურდება ინდივიდუალურად, ჯგუფი მათ გაუფასურებას განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდელების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორთფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 - 60 დღე	61 - 90 დღე	91 - 180 დღე	180 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საეჭვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს "შინაარსის ფორმაზე აღმატებულების" პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სრულად მოხდება აქტივების აღიარება/აღიარების შეწყვეტა, თუ აქტივები აღიარდება მხოლოდ კომპანიის შენარჩუნებული მოცულობის მიხედვით, დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში, ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

როგორც წესი, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება კრედიტორული დავალიანება და მიღებული სესხები. ჩვეულებრივ, არ ხდება იმ ვალდებულებების გადაფასება, რომლებიც კლასიფიცირებულია ამ კატეგორიაში, ვინაიდან ვალდებულების სიზუსტე მაღალია, ხოლო დაფარვის ვადა მოკლევადიანი.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.7 ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

საოფისე აღჭურვილობა	20% წრფივი
IT ინფრასქტრუქტურა	10% წრფივი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	14% - 20% წრფივი

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2.8 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

აღიარება

შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებელ გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ამორტიზაცია

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით, შემდეგნაირად:

პროგრამული უზრუნველყოფა	15 წელი
პროგრამები და ვებ-საიტები	3-10 წელი

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა *(გაგრძელება)*

2.8 არამატერიალური აქტივები *(გაგრძელება)*

ამორტიზაცია *(გაგრძელება)*

არამატერიალური აქტივის ამორტიზება იწყება მაშინ, როცა შესაძლებელია აქტივის გამოყენება.

MONTRAN CORPORATION-სგან შეძენილი "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის" პროგრამული უზრუნველყოფის (საკლირინგო-საანგარიშსწორებო სისტემის) ამორტიზაცია დაიწყო მაშინ, როდესაც დასრულდა მისი დეველოპმენტი და შესაძლებელი გახდა აქტივის გამოყენება.

MONTRAN CORPORATION-სგან შეძენილი "თსბ"-ს სავაჭრო სისტემის ამორტიზაცია დაიწყება მაშინ, როდესაც დასრულდება მისი დეველოპმენტი და შესაძლებელი იქნება აქტივის გამოყენება.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს, მაგრამ ისინი ექვემდებარებიან გაუფასურებისთვის შემოწმებას.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

2.9 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღის დღეს გაუფასურების ინდიკატორის შესაფასებლად და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოდინებას სხვა აქტივისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზრაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივი.

გამოყენების ეკონომიკური სარგებელი არის აქტივის/ერთეულის გამოთვლილი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულებების გამოთვლა წარმოებს დისკონტირების განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან / ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებას აქვს ადგილი.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა გაუფასურების ნიშნები, ყოველწლიურად ხდება აქტივების გაუფასურებაზე შემოწმება (ან უფრო ხშირად თუ მოვლენები ან ცვლილებები გარემოებებში მიუთითებს, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გაუფასურებას).

2.10 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის:

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა *(გაგრძელება)*

2.10 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები *(გაგრძელება)*

	დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.28	4.02
საშუალო გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	3.10	3.54
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.87	3.21
საშუალო გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.82	3.16

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.11 მოგების გადასახადი

ჯგუფი მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98[1]-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

2.12 ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის ჯგუფს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ ჯგუფი შეასრულებს მოვალეობას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

2.13 კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ ჯგუფის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღემატება გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისიო კაპიტალში.

ჯგუფი საემისიო კაპიტალში ასახავს შვილობილი კომპანიების აქციების გამოშვების შედეგად წარმოშობილ ისეთ შემოსულობას, რომელიც წარმოიქმნება გამოშვებული ახალი აქციების არამაკონტროლებელ მხარეებზე გასხვისების შედეგად, ხოლო შიდაჯგუფური წილების ცვლილების შედეგად წარმოშობილ მოგება/(ზარალს), რომლის დროსაც შენარჩუნებულია კონტროლი მაკონტროლებელის მიერ ასახავს გაუნაწილებელი მოგების მუხლში.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.13 კაპიტალი (გაგრძელება)

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი გამოცხადების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

ჯგუფი შვილობილებზე არამაკონტროლებელ წილზე გაცემულ დივიდენდებს ასახავს კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში, კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის და კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში ასახული არამაკონტროლებელი წილი, ასახულია წმინდა ღირებულებით (შემცირებული შვილობილში არამაკონტროლებელ წილზე გაცემული დივიდენდით).

გამოსყიდული საკუთარი აქციები

გამოსყიდული საკუთარი აქციების ფასი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება კაპიტალიდან გამოკლებით. მათი ყიდვა ან ხელახალი გამოშვება აისახება როგორც კაპიტალის ზრდა. შედეგად, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არ აისახება რაიმე სახის მოგება ან ზარალი გამოსყიდული აქციებიდან.

2.14 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

ჯგუფი შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებსად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

თოთოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით ჯგუფი ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გაცემას მომხმარებელზე.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.14 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება (გაგრძელება)

საზღაურები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავენ საზღაურებს, რომლებიც მიღებულ ან გადახდილ იქნა სუბიექტის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასა ან შეძენასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორიცაა კრედიტუნარიანობის დადგენისთვის, გარანტიებისა თუ უზრუნველყოფის შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამუშავების საზღაურები.

იჯარა

2016 წლის იანვარში ბასსს-მა გამოსცა ახალი სტანდარტი იჯარის აღრიცხვისთვის - ფასს 16 "იჯარა". ახალი სტანდარტით მნიშვნელოვნად არ იცვლება იჯარის აღრიცხვა მეიჯარეებისთვის. თუმცა, მოიჯარეებს იგი ავალდებულებს იჯარების უმეტესობის თავიანთ ბალანსზე აღიარებას საიჯარო ვალდებულებების სახით, აქტივების შესაბამისი გამოყენების უფლებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ "მოკლევადიანი" იჯარები და იჯარები "დაბალი ღირებულების მქონე" აქტივებით. ზოგადად, აღიარებულ იჯარაზე მოგების ან ზარალის აღიარების წესი დღეისათვის მოქმედი ფინანსური იჯარის აღრიცხვის წესის მსგავსი იქნება და საპროცენტო ხარჯი და საამორტიზაციო ანარიცხების აღიარება ცალკე მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ჯგუფის იჯარები არის მოკლევადიანი. მოკლევადიანი იჯარები არის იჯარები, რომელთა საიჯარო ვადა შეადგენს 12 თვეს ან ნაკლებს. მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული გადახდები აღიარებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც ხარჯი მოგება - ზარალში.

ჯგუფი იჯარის ვადად მიიჩნევს იჯარის არაგაუქმებად პერიოდს, შემდეგ პერიოდებთან ერთად:

ა) პერიოდები, რომლებზეც ვრცელდება იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას; და

ბ) პერიოდები, რომლებზეც ვრცელდება იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე არ გამოიყენებს ამ უფლებას;

2.15 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება და აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასს-ის მიხედვით და არ არის თანდართული ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის მიხედვით მენეჯმენტისგან სააღრიცხვო შეფასებებს და მსჯელობების გამოყენებას მოითხოვს, რომლებიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე აისახება. სააღრიცხვო შეფასებები კეთდება ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მათ შორის მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით მენეჯმენტის იმ მოლოდინების გათვალისწინებით, რომლებიც დასაბუთებული ჩანს არსებულ პირობებში. მსჯელობები, რომლებიც განსაკუთრებულად აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება გამოიწვიოს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

ბ) არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურეობის ვადა

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურეობის ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურეობის ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, საერთაშორისო პრაქტიკასა და ბაზრის სწრაფად ცვალებად მოთხოვნებს. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

გ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება სამომავლო ვალდებულებებისთვის, როდესაც ჯგუფს აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების საფუძველზე და სავარაუდოა, რომ ჯგუფს მოეთხოვოს ამ ვალდებულებების შესრულება. ანარიცხები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმებს, თანდართულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში როგორც პირობითი ვალდებულებები, რადგანაც, მათი არსებობა დადასტურდება მხოლოდ რომელიმე არასარწმუნო სამომავლო გარემოების დადგომისას, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს.

დ) გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. ჯგუფის მენეჯმენტი აღიარებს ვალდებულებებს მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადო გაანგარიშებებისთვის საგადასახადო აუდიტის შეფასებების შედეგის საფუძველზე, არის თუ არა იმის ალბათობა, რომ ჯგუფს დაეკისრება დამატებითი გადასახდები. როცა საბოლოო საგადასახდო შედეგები განსხვავდება თავდაპირველად აღრიცხული რაოდენობისგან, ეს სხვაობები გავლენას ახდენენ იმ პერიოდზე, როცა აღნიშნული განსაზღვრებები გაკეთდა.

4 ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ნაღდი ფული	967	815
ფული ბანკში	373,238	1,091,631
მოკლევადიანი დეპოზიტები	1,331,146	423,373
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**1,705,351**	**1,515,820**

4 ფული და ფულის ეკვივალენტები (გაგრძელება)

დეპოზიტები შედგება მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, რომელთაც ერიცხებათ საპროცენტო სარგებელი 0.25% - 6.5%-მდე შესაბამისი დეპოზიტის განაკვეთის საფუძველზე. დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი იხილეთ მე-19 განმარტებით შენიშვნებში.

ვალუტების მიხედვით ფული და ფულის ეკვივალენტები იხილეთ შენიშვნა 25.4-ში, ხოლო ვალუტების მიხედვით საპროცენტო სარგებლის განაკვეთი შენიშვნა 25.3-ში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ ყოფილა მატერიალური სხვაობა ფული და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

5 დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები

	ვალუტა	საწყისი თანხა ვალუტაში	დაფარვის ვადა	სარგებელი	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
შპს "საქართველოს სალიზინგო კომპანია"	აშშ დოლარი	400,000	29-აგვ-2019	7.00%	-	411,025
მ2 უძრავი ქონება	აშშ დოლარი	61,000	07-ოქტ-2022	7.50%	218,435	178,020
სულ გაუფასურების რეზერვამდე					**218,435**	**589,045**
ფასიანი ქაღალდების გაუფასურების ანარიცხი (შენიშვნა 21)					(2,184)	(5,890)
წმინდა დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები					**216,251**	**583,155**

საპროცენტო შემოსავალი დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივებიდან იხილეთ მე-19 განმარტებით შენიშვნებში.

საანგარიშგებო პერიოდში არ ყოფილა არსებითი სხვაობა კუპონის განაკვეთსა და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს შორის. გადახდის გრაფიკი, მოქმედ დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებზე განსაზღვრულია ყოველ 6 თვეში ერთხელ კუპონის/(პროცენტის) ჩარიცხვით და ვადის ბოლოს ძირი თანხის გადახდით.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ ყოფილა მატერიალური სხვაობა დაფარვის ვადამდე ფლობილ ფინანსურ აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
დებიტორული დავალიანება	151,734	103,863
საეჭვო დავალიანების რეზერვი	(35,864)	(33,493)
წინასწარ გადახდები, სხვა აქტივები	7,129	1,675
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**122,999**	**72,045**

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ ყოფილა მატერიალური სხვაობა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

7 ძირითადი საშუალებები

	IT ინფრასქტრუქტურა	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება				
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**200,982**	**33,842**	**234,824**
შეძენა	-	11,127	-	11,127
გასვლა	-	(746)	-	(746)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**211,363**	**33,842**	**245,205**
შეძენა	34,721	4,919	-	39,640
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**34,721**	**216,282**	**33,842**	**284,845**
ცვეთა				
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(167,726)**	**(24,888)**	**(192,614)**
ცვეთა წლის მანძილზე	-	(19,578)	(5,014)	(24,592)
დაგროვილი ცვეთა გასულ აქტივებზე	-	520	-	520
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(186,784)**	**(29,902)**	**(216,686)**
ცვეთა წლის მანძილზე	(2,893)	(13,042)	(695)	(16,630)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(2,893)**	**(199,826)**	**(30,597)**	**(233,316)**
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**33,256**	**8,954**	**42,210**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**24,579**	**3,940**	**28,519**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**31,828**	**16,456**	**3,245**	**51,529**

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება არის 204,952 ლარი (2019: 154,813 ლარი), რასაც ჯგუფი კვლავ იყენებს საოპერაციო საქმიანობაში.

8 არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	სავაჭრო სისტემის ლიცენზია	პროგრამები და ვებ-საიტი	სულ
ისტორიული ღირებულება				
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**943,632**	**-**	**63,504**	**1,007,136**
დამატება	101,016	1,014,992	500	1,116,508
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,044,648**	**1,014,992**	**64,004**	**2,123,644**
დამატება	112,593	-	9,528	122,121
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,157,241**	**1,014,992**	**73,532**	**2,245,765**
ცვეთა და გაუფასურება				
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**-**	**(16,933)**	**(16,933)**
ცვეთა წლის მანძილზე	-	-	(5,342)	(5,342)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**-**	**(22,275)**	**(22,275)**
ცვეთა წლის მანძილზე	(26,352)	-	(6,932)	(33,284)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(26,352)**	**-**	**(29,207)**	**(55,559)**
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**943,632**	**-**	**46,571**	**990,203**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,044,648**	**1,014,992**	**41,729**	**2,101,369**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,130,889**	**1,014,992**	**44,325**	**2,190,206**

2020 წლის ბოლოსთვის, ჯგუფს გააჩნია სრულად ამორტიზირებული არამატერიალური აქტივები, რომელთა ჯამური ისტორიული ღირებულება 23,777 ლარია (2019 წელი: 23,120 ლარი). მიუხედავად ამისა, ჯგუფი იყენებს ზემოთ აღნიშნულ არამატერიალურ აქტივებს საოპერაციო საქმიანობაში.

არამატერიალური აქტივები მეტწილად მოიცავს სს "თბილისის საფონდო ბირჟის" და სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის" მიერ MONTRAN CORPORATION-ისგან შეძენილი სავაჭრო სისტემის და საკლირინგო-საანგარიშსწორებო სისტემის ლიცენზიას და პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის მომსახურებას.

2018 წლის ნოემბერში MONTRAN CORPORATION-მა სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარს" მიაწოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტი, რის შედეგადაც დაკმაყოფილდა არამატერიალურ აქტივად კლასიფიკაციის კრიტერიუმები და აღიარდა არამატერიალურ აქტივად. 2020 წლის სექტემბერში დასრულდა აქტივის დეველოპმენტის ბოლო ფაზა.

2019 წლის ნოემბერში MONTRAN CORPORATION-მა სს "თბილისის საფონდო ბირჟას" მიაწოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტი, რის შედეგადაც დაკმაყოფილდა არამატერიალურ აქტივად კლასიფიკაციის კრიტერიუმები და სავაჭრო სისტემის ლიცენზია აღიარდა არამატერიალურ აქტივად. ამჟამად, აქტივი არის კომპანიის მიერ ტესტირების პროცესში. 2021 წელს იგეგმება სისტემის სრულად დანერგვა.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არამატერიალური აქტივის შეძენასთან დაკავშირებული გრძელვადიანი ვალდებულება შეადგენს 230,820 ლარს (2019 წელი: 394,869 ლარი).

9 ინვესტიცია ფასიან ქაღალდებში

ჯგუფი ფლობს სს ,,საქწყალპროექტის" აქციათა 1.64%-ს. 2020 და 2019 წლებში კომპანიას დივიდენდი არ მიუღია. 2018 წლის განმავლობაში მიღებული დივიდენდი იყო - 2,732 ლარი. კომპანია 2017 წლის 31 დეკემბრამდე ხელმძღვანელობდა ბასს 39-ით, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ ფინანსურ აქტივს ფინანსურ ანგარიშგებაში წარადგენდა დანახარჯების მეთოდით. 2018 წლის 01 იანვრიდან ძალაში შესული ფასს 9-ის მიხედვით კომპანია ვალდებულია მსგავსი ფინანსური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში წარადგინოს სამართლიანი ღირებულებით. ვინაიდან რეალური ღირებულების შესაფასებლად საჭირო ახალი ინფორმაცია არ არის კომპანიისთვის ხელმისაწვდომი, ხელმძღვანელობამ გამოიყენა ფასს 9-ის ბ5.2.3 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისის უფლება და რეალური ღირებულების მართებულ შეფასებად მიიჩნია თვითღირებულება, როგორც 2018 წლის 01 იანვრის, ასევე 2018, 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

10 წინასწარი გადახდა	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
წინასწარ გადახდა არამატერიალური აქტივების შესყიდვებზე	942	24,494
სულ წინასწარ გადახდა	**942**	**24,494**

2019 წლის 6 დეკემბერს სს თბილისის საფონდო ბირჟამ გააფორმა ხელშეკრულება შპს "გრინსისტემს"-თან არამატერიალური აქტივის შექმნის, ინსტალაცია / კონფიგურაციის თაობაზე, რისთვისაც 2019 წლის 9 დეკემბერს გადაიხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი თანხის 50% - 24,495 ლარი. 2020 წლის მარტში შპს "გრინ სისტემს"-მა ჯგუფს მიაწოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტი, რომელიც მოიცავს ლიცენზიებსა და სერვერის კომპიუტერულ მოწყობილობებს. შესაბამისად, წინასწარ გადახდა არამატერიალური აქტივის შესაძენად რეკლასიფიცირდა არამატერიალურ აქტივსა და ძირითად საშუალებებზე.

	2020	2019
საწყისი ბალანსი - 1 იანვრის მდგომარეობით	**24,494**	**423,757**
გადახდა წლის განმავლობაში	4,842	355,391
წლის განმავლობაში არამატ. აქტივად და ძირითად საშუალებად რეკლასიფიკაცია	(28,394)	(754,654)
საბოლოო ბალანსი - 31 დეკემბრის მდგომარეობით	**942**	**24,494**

11 კრედიტორული და სხვა დავალიანება	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
მიღებული ავანსები	55,562	82,962
დავალიანება მომწოდებლების მიმართ	26,658	14,705
სხვა	19	46
სულ კრედიტორული და სხვა დავალიანება	**82,239**	**97,713**

მიღებული ავანსები მოიცავს 3 მსხვილი კლიენტის სერვისით მომსახურების 5 წლის წინასწარ გადახდებს.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ ყოფილა მატერიალური სხვაობა კრედიტორული და სხვა დავალიანებების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

12 გადასახდელი ხელფასი და პრემია

გადასახდელი ხელფასი და პრემია მოიცავს სს საქართველოს საფონდო ბირჟის გენერალური დირექტორის პრემიის ანარიცხსა და სს კავკასრეესტრის ყოფილი მმართველი ორგანოს წევრების და ყოფილი თანამშრომლისთვის გადასახდელ ხელფასებს.

ჯგუფის მენეჯმენტმა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შექმნა ანარიცხი გენერალური დირექტორისთვის გადასახდელ პრემიაზე. მენეჯმენტის შეფასებით, არსებობს 50%-ზე მეტი ალბათობა იმისა, რომ სამეთვალყურეო საბჭო დაამტკიცებს აღნიშნულ პრემიას.

2019 წელს ჯგუფმა შექმნა ანარიცხი სს კავკასრეესტრის ყოფილი მმართველი ორგანოს წევრებისთვის გადასახდელი თანხის 50%-ის ოდენობით. 2020 წელს დასრულდა სასამართლო დავა სს კავკასრეესტრის ყოფილი მმართველი ორგანოს წევრების სასარგებლოდ. გადასახდელი ხელფასის დარჩენილი ნაწილის დარიცხვა განხორციელდა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ასევე, 2019 წელს ჯგუფმა შექმნა ანარიცხი სს კავკასრეესტრის ყოფილი თანამშრომლისთვის გადასახდელი თანხის 50% -ის ოდენობით. მსგავსი შინაარსის დავებზე საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით მიმდინარე პერიოდში ჯგუფის მოლოდინია, რომ სასამართლო დავა 50%-ზე მეტი ალბათობით დასრულდება ყოფილი თანამშრომლის სასარგებლოდ. შესაბამისად, საანგარიშგებო პერიოდის თარიღისთვის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია გადასახდელი ხელფასის ანარიცხი ყოფილი თანამშრომლისთვის 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი თანხის 100%-ის ოდენობით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**50,000**
პრემიის გადახდა	(45,000)
პრემიის დარიცხვა	50,000
2018 წლის პრემიის ხარჯის უგულვებელყოფა	(5,000)
გადასახდელი ხელფასის დარიცხვა	25,485
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**75,485**
პრემიის დარიცხვა	50,000
გადასახდელი ხელფასის დარიცხვა	33,487
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**158,971**

13 საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულება

ჯგუფს საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულება წარმოეშვება საშემოსავლო, ქონების და უკუდაბეგვრის დღგ-ს გადასახადებიდან.

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია განაწილებული მოგების დაბეგვრიდან წარმოქმნილი გადასახდელი მოგების გადასახადი. ასევე, 2016 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული მოგების გადასახადის ესტონური მოდელის (მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ) თანახმად, ჯგუფს არ წარმოეშვება გადავადებული მოგების გადასახადი.

14 საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი შედგება 3,000,000 ცალი ნებადართული და განთავსებული ჩვეულებრივი აქციისგან, 0.01 ლარის ნომინალური ღირებულებით. ჯგუფს 2020 წლის განმავლობაში ახალი აქციები არ გამოუშვია.

ჯგუფის საემისიო კაპიტალი 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 117,452 ლარს.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ მომხდარა აქციონერებზე დივიდენდის გაცემა.

კაპიტალის მართვა

საკუთარი კაპიტალის მართვისას (რომელსაც ჯგუფი განმარტავს, როგორც თავის ფასს-ის მიხედვით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ წმინდა აქტივებს) ჯგუფის მიზანია, შექმნას რისკების დაზღვევისთვის საკმარისი ბუფერი და უზრუნველყოს ჯგუფის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, რათა მან გააგრძელოს დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა და დააგენერიროს უკუგება აქციონერებისთვის.

ამ მიზნების მისაღწევად ჯგუფი აფასებს პროდუქტებისა და პროექტების თანმდევ რისკებს და შესაბამისობას კაპიტალურ ბუფერებთან; მუდმივად განახლებადი ფინანსური ანგარიშგებების წარმოებით მართავს და აკონტროლებს საკუთარი კაპიტალის შესაბამისობას რისკებთან და კაპიტალის მოთხოვნებთან.

საფონდო ბირჟებს, ცენტრალურ დეპოზიტარებსა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებს საქართველოს ეროვნული ბანკი ("სებ") უსაზღვრავს საკუთარი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს. კერძოდ, ეროვნული ბანკის მოთხოვნის თანახმად საფონდო ბირჟისა და ცენტრალური დეპოზიტარისთვის საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს 50,000 ლარს, ხოლო ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისთვის - 250,000 ლარს. სებ-ის მიერ დაწესებული მოთხოვნების მართვა ინტეგრირებულია კაპიტალის მართვის საერთო ჩარჩოში და კონტროლირდება დინამიურად ჯგუფის მენეჯმენტის მიერ.

ამასთანავე, საფონდო ბირჟებსა და ცენტრალურ დეპოზიტარებს საქართველოს ეროვნული ბანკი ავალდებულებს ლიცენზიის ფლობის ყველა ეტაპზე გააჩნდეს ფულადი სახსრები საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებებში გახსნილ ანგარიშებზე ჯამურად არანაკლებ მინიმალური კაპიტალის 100%-ის ოდენობით.

ჯგუფი აკმაყოფილებს მინიმალური საკუთარი კაპიტალის მოთხოვნებს.

15 საკომისიო და საწევრო შემოსავლები

	2020	2019
საკომისიო შემოსავალი	114,426	151,392
საწევრო შემოსავალი	102,090	87,638
სულ საკომისიო და საწევრო შემოსავლები	**216,516**	**239,030**

16	მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი	2020	2019
	შემოსავალი ფასიანი ქაღალდების ლინსტინგიდან	233,549	184,599
	შემოსავალი ფასიანი ქაღალდების შენახვიდან	402,520	113,119
	შემოსავალი რეესტრის წარმოებიდან	101,326	91,660
	სხვა მომსახურებით მიღებული შემოსავლები	19,071	19,398
	სულ მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი	**756,466**	**408,776**

17	ხელფასის და პრემიის ხარჯი	2020	2019
	ხელფასი	649,070	621,889
	პრემია	50,000	94,842
	ყოფილი მმართველი ორგანოსა და თანამშრომლისთვის განაცდური ხელფასის ანაზღაურების ანარიცხი	41,857	31,856
	საპენსიო შენატანის ხარჯი	12,745	13,951
	სულ ხელფასის და პრემიის ხარჯი	**753,672**	**762,538**

ყოფილი მმართველი ორგანოსა და თანამშრომლისთვის განაცდური ხელფასის კომპენსაციისთვის ჯგუფმა გააკეთა არაგანმეორებადი ხარჯის 100%-იანი ანარიცხი (იხილეთ შენიშვნა 12).

18	სხვა საოპერაციო ხარჯი	2020	2019
	პროგრამული მხარდაჭერის უზრუნველყოფა	54,742	900
	დაზღვევის ხარჯი	12,027	11,337
	სასესხო ფასიანი ქაღალდების შენახვის ხარჯი	9,326	4,000
	მივლინების ხარჯები	5,557	19,475
	მონაცემთა ბაზით სარგებლობის ხარჯი	4,509	409
	დასუფთავების და მომსახურების ხარჯი	4,504	4,095
	გარანტიის ხარჯი	3,900	-
	ბანკის საკომისიო	3,294	4,089
	სამეურნეო საქონლის, ოფისის და საკანცელარიო ხარჯი	3,173	7,235
	საკონსულტაციო ხარჯები	3,000	3,000
	კომპიუტერის ხარჯი	2,415	509
	კომუნალური ხარჯი	2,269	6,566
	რეგისტრაციის ხარჯები	1,547	1,471
	ავტორიზაციის უფლების ხარჯი	1,500	1,500
	ტრანსპორტირების ხარჯი	1,195	3,126
	პერსონალის ტრენინგი	700	7,288
	წარმომადგენლობითი ხარჯი	635	1,423
	საგადასახადო ხარჯები	346	281
	თანამშრომელთა სარგებელი	-	1,366
	სხვა ხარჯები	11,624	15,009
	სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	**126,263**	**93,079**

19 ფინანსური შემოსავალი	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებიდან	34,324	56,293
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან	20,102	23,267
სულ ფინანსური შემოსავალი	**54,426**	**79,560**

20 კურსთაშორის სხვაობით მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)

	ფული და ფულის ეკვივალენტები	დებიტორული დავალიანება	კრედიტ. დავალიანება და გრძელვ. ვალდებულება	დაფარვის ვადადე ფლობილი ფინ. აქტივი	სულ
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	335,481	15,516	79,310	128,956	**559,263**
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(167,089)	(10,093)	(135,933)	(75,131)	**(388,246)**
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება / (ზარალი) 2020 წლის განმავლობაში	**168,392**	**5,423**	**(56,623)**	**53,825**	**171,017**

	ფული და ფულის ეკვივალენტები	დებიტორული დავალიანება	კრედიტ. დავალიანება და გრძელვ. ვალდებულება	დაფარვის ვადადე ფლობილი ფინ. აქტივი	სულ
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	44,499	13,754	9,443	115,310	**183,006**
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(54,479)	(3,873)	(33,187)	(34,280)	**(125,819)**
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება / (ზარალი) 2019 წლის განმავლობაში	**(9,980)**	**9,881**	**(23,744)**	**81,030**	**57,187**

21 ფინანსური აქტივების გაუფასურება

	დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინ. აქტივი	დებიტორული დავალიანება	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი	**(16,271)**	**(33,493)**	**(49,764)**
წლის განმავლობაში ჩამოწერილი	-	5,405	**5,405**
ამოღებული თანხები	10,528	4,140	**14,668**
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	(147)	(9,357)	**(9,504)**
2019 წლის 31 დეკემბერი	**(5,890)**	**(33,305)**	**(39,195)**
წლის განმავლობაში ჩამოწერილი	-	8,888	**8,888**
ამოღებული თანხები	-	5,776	**5,776**
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	(404)	(17,077)	**(17,481)**
2020 წლის 31 დეკემბერი	**(6,294)**	**(35,718)**	**(42,012)**

22 არასაოპერაციო შემოსავალი

2020 წლის განმავლობაში არასაოპერაციო შემოსავალი მეტწილად მოიცავს საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებული სახელმწიფო სუბსიდიის ფარგლებში მიღებულ შემოსავალს.

23 დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც "ანგარიშვალდებული საწარმო").

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

(i) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(ii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(iii) არის ანგარიშვალდებული საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(ii) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;

(v) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.

თუ ანაგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) (ა) (i) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავო საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(viii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან ანგარიშვალდებული საწამოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

კომპანიის ძირითადი აქციონერები არიან: შპს "თიბისი კაპიტალი" (17.33%), შპს "ჯი სი ეფ ჰოლდინგს ჯორჯია" (15.33%) და სს "გალტ ენდ თაგგარტი" (17.33% (მათ შორის 2% ნომინალური მფლობელობით)).

შემოსავალი:	2020	2019
ძირითადი აქციონერები	95,008	92,937
სხვა დაკავშირებული მხარეები	471,971	203,406

23 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

ხარჯი:	2020	2019
სხვა დაკავშირებული მხარეები	14,966	15,728

ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება:	2020	2019
ხელფასები და პრემიები	422,520	429,730

მოთხოვნა:	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ძირითადი აქციონერები	8,401	7,009
სხვა დაკავშირებული მხარეები	68,167	9,553

ვალდებულება:	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ძირითადი აქციონერები	606	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	34	1,000

ბანკში განთავსებული ფულადი სახსრების ნაშთები:	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
საქართველოს ბანკი	1,076,063	614,416
თიბისი ბანკი	302,601	585,348

ფასიანი ქაღალდები	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
"საქართველოს სალიზინგო კომპანიის" ფასიანი ქაღალდები	-	406,916

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ხელმძღვანელობის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ნაშთი	100,000	50,000

სხვა დაკავშირებული მხარეებიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს სს "საქართველოს ბანკისა" და სს "თიბისი ბანკისგან" ფასიანი ქაღალდების შენახვიდან მიღებულ შემოსავლებს.

24 პირობითი ვალდებულებები

24.1 დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

24 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

24.2 მიმდინარე სასამართლო დავები

ჯგუფში შემავალ კომპანიებს აქვთ მიმდინარე სასამართლო დავა, რომლის ძირითადი საკითხებიც აღწერილია ქვემოთ:

სს „საქართველოს საფონდო ბირჟისა“ და სს „თბილისის საფონდო ბირჟის“ სასამართლო დავები:

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“ და სს „თბილისის საფონდო ბირჟა“ ჩაბმულნი იყვნენ სასამართლო დავაში, სადაც მინორიტარი აქციონერები დავობდნენ სს "საქართველოს საფონდო ბირჟის" მიერ სს „თბილისის საფონფო ბირჟის“ დაფუძნების კანონიერების შესახებ.

2021 წლის თებერვალში დავა უზენაეს სასამართლოში დასრულდა ჯგუფის სასარგებლოდ. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

სს „კავკასრეესტრის“ სასამართლო დავები:

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის მიმდინარე დავები ეხება სს „კავკასრეესტრის“ ყოფილი დირექტორისა და მმართველი ორგანოს წევრების, აგრეთვე ერთ-ერთი თანამშრომლის გათავისუფლების კანონიერებას და მათთვის განაცდური ხელფასების კომპენსაციას.

აღნიშნული დავებიდან ერთ-ერთი, კერძოდ სს „კავკასრეესტრის“ ყოფილი მმართველი ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს) წევრებისთვის განაცდური ხელფასის კომპენსაციასთან დაკავშირებით 2020 წლის ნოემბერში დასრულდა სს "კავკასრეესტრის" წინააღმდეგ, რის შედეგადაც ჯგუფს დაეკისრა სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი წევრებისთვის განაცდური ხელფასის გადახდა ჯამურად 17,712 ლარის ოდენობით.

მეორე დავის უარყოფითად დასრულების შემთხვევაში, კომპანიას დაეკისრება ყოფილი თანამშრომლის (ყოველთვიური 1,000 ლარის ოდენობით 2016 წლის 01 ივნისიდან სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე) განაცდური ხელფასების ანაზღაურება. მსგავსი შინაარსის დავებზე საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით მენეჯმენტის მოლოდინია, რომ დავა 50%-ზე მეტი ალბათობით დასრულდება ყოფილი თანამშრომლის სასარგებლოდ და შესაბამისად შექმნა გადასახდელი ხელფასის ანარიცხი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (იხილეთ შენიშვნა 12).

სხვა სასამართლო დავები, ამჟამად განიხილება სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში. პარალელურად მიმდინარეობს სარეგისტრაციო საქმის წარმოება საჯარო რეესტრში, რომელიც კავშირშია ზემოაღნიშნული დავების მიმდინარეობასთან. სს „კავკასრეესტრის“ მენეჯმენტის მოლოდინია, რომ აღნიშნული დავების უმრავლესობა გონივრული ალბათობით დასრულდება კომპანიის სასარგებლოდ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე დავა (ან დავები) დასრულდება კომპანიის საწინააღმდეგოდ, კომპანია არ ელოდება ისეთი სახის მატერიალურ ზარალს, რომელიც საფრთხის ქვეშ დააყენებს მის არსებობას ან გამოიწვევს მიმდინარე საქმიანობის სერიოზულ შეფერხებას.

25 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, ჯგუფი ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს ჯგუფისთვის.

- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ ჯგუფს არ ექნება ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.

- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

  - საპროცენტო რისკი
  - სავალუტო რისკი

ჯგუფის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს ჯგუფის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. ჯგუფის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	**31-დეკ-2020**	**31-დეკ-2019**
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,705,351	1,515,005
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	122,999	70,370
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	216,251	583,155
ინვესტიცია ფასიან ქაღალდებში	54,085	54,085
სულ ფინანსური აქტივები	**2,098,686**	**2,222,614**
ფინანსური ვალდებულებები		
კრედიტორული და სხვა დავალიანება	82,239	14,705
გრძელვადიანი ვალდებულება	230,820	394,869
სულ ფინანსური ვალდებულებები	**313,059**	**409,574**

25 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)

25.1 საკრედიტო რისკი

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,705,351	1,515,005
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	122,999	70,370
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	216,251	583,155
ინვესტიცია ფასიან ქაღალდებში	54,085	54,085
სულ ფინანსური აქტივები	**2,098,686**	**2,222,614**

ფული და ფულის ეკვივალენტის ბალანსი აღნიშნავს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთსა და მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებს. ჯგუფი არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები ნებისმიერი დებიტორული დავალიანებისათვის. დებიტორულ დავალიანებებს ჯგუფი მართავს ვადაგადაცილების დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

ჯგუფი იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია კომპანიის მიერ.
- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად.
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში.
- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წლის მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ჯგუფის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ხარჯი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსულ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, ასახავს I დონეში როგორც 2020 წლის დასაწყისში, ასევე 2020 წლის ბოლოს.

25 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)

25.1 საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნებისთვის ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. ჯგუფს აქვს 5 ვადაგადაცილების დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცენტი დაფუძნებულია ჯგუფის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცხრილი ვადაგადაცილებისა და პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ.

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	> 180
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაფუძნებულია მისი პირველადი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკის ცვლილებაზე.

ზარალის ანარიცხი ითვლება მოცემული საფუძვლებიდან ერთ-ერთით. ა) 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვან ზრდას არ განიცდის. ბ) არსებობის მანძილზე არსებული საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ განიცდის მნიშვნელოვან ზრდას.

იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდგომ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, ჯგუფი დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისთვის იყენებს 12 თვიან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომას.

25.2 ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ჯგუფი ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

ლიკვიდურობის რისკი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,705,351	-	-	**1,705,351**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	122,999	-	-	**122,999**
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინ. აქტივები	18,563	197,688	-	**216,251**
ინვესტიცია ფასიან ქაღალდებში	-	-	54,085	**54,085**
სულ ფინანსური აქტივები	**1,846,913**	**197,688**	**54,085**	**2,098,686**
ფინანსური ვალდებულებები				
კრედიტორული და სხვა დავალიანება	82,239	-	-	**82,239**
გრძელვადიანი ვალდებულება	-	230,820	-	**230,820**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**82,239**	**230,820**	**-**	**313,059**
ლიკვიდურობის პოზიცია	**1,764,674**	**(33,132)**	**54,085**	**1,785,627**
წმინდა ლიკვიიდურობის პოზიცია	**1,764,674**	**1,731,542**	**1,785,627**	

25 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)

25.2 ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,515,005	-	-	**1,515,005**
დებიტორული დავალიანება	70,370	-	-	**70,370**
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივი	410,006	173,149	-	**583,155**
ინვესტიცია ფასიან ქაღალდებში	-	-	54,085	**54,085**
სულ ფინანსური აქტივები	**1,995,380**	**173,149**	**54,085**	**2,222,614**
ფინანსური ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	14,705	-	-	**14,705**
გრძელვადიანი ვალდებულება	-	394,869		
სულ ფინანსური ვალდებულებები	**14,705**	**394,869**	**-**	**14,705**
ლიკვიდურობის პოზიცია	**1,980,675**	**(221,720)**	**54,085**	**2,207,909**
წმინდა ლიკვიიდურობის პოზიცია	**1,980,675**	**1,758,955**	**1,813,040**	

25.3 საპროცენტო განაკვეთის რისკი

ჯგუფს საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების სამართლიან ღირებულებაზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენა შეფასდა, როგორც უმნიშვნელო.

საპროცენტო განაკვეთის რისკთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

	31-დეკ-2020		31-დეკ-2019	
წლიური %-ში	**ლარი**	**დოლარი**	**ლარი**	**დოლარი**
ფული და ფულის ეკვივალენტები	2.00-6.50%	0.5-0.75%	2.00-6.50%	0.25-0.75%
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	-	5.00-7.50%	-	5.00-7.50%

25 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)

25.4 სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განთავსებას.

საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფს უცხოურ ვალუტაში ჰქონდა მხოლოდ შემდეგი ნაშთები (დენომინირებული ლარში):

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ფული და ფულის ეკვივალენტები	დებიტორული დავალიანება	დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	გრძელვადიანი ვალდებულება	სულ
აშშ დოლარი	1,308,339	44,355	216,251	(230,820)	**1,338,125**
ევრო	9,794	-	-	-	**9,794**
ფუნტი	1,128	-	-	-	**1,128**
სულ	**1,319,261**	**44,355**	**216,251**	**(230,820)**	**1,349,047**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ფული და ფულის ეკვივალენტები	დებიტორული დავალიანება	დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	გრძელვადიანი ვალდებულება	სულ
აშშ დოლარი	1,130,083	58,245	583,303	(394,869)	**1,376,762**
ევრო	8,722	-	-	-	**8,722**
ფუნტი	1,128	-	-	-	**1,128**
სულ	**1,139,933**	**58,245**	**583,303**	**(394,869)**	**1,386,612**

ლარის გაცვლითი კურსის 10%-იანი გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შეამცირებს/გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 133,812 ლარით (2019: 137,676 ლარით).

ლარის გაცვლითი კურსის 10%-იანი გამყარება/გაუფასურება ევროს მიმართ შეამცირებს/გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 979 ლარით (2019: 872 ლარით).

ლარის გაცვლითი კურსის 10%-იანი გამყარებ/გაუფასურება ფუნტის მიმართ შეამცირებს/გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 113 ლარით. (2019: 113 ლარით).

26 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ჯგუფის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს ჯგუფის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

27 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე უკავშირდება ეკონომიკურ სირთულეებს, რომელიც შესაძლებელია წარმოიქმნას კორონავირუსის პანდემიის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებით. თუმცა ჯგუფის შემთხვევაში, მენეჯმენტი რისკებს მინიმუმზე აფასებს, რადგან მისი საქმიანობა ადაპტირებულია დისტანციურ ოპერირებაზე, ხოლო ძირითად კლიენტებს წარმოადგენენ ისეთი მძლავრი ფინანსური ინსტიტუტები, რომელთა საქმიანობაც (COVID-19) -ის ფართო გავრცელების შემთხვევაშიც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ჯგუფის ოპერაციებთან. ამასთანავე, რისკების დაბალ დონეზე შეფასების დამატებით არგუმენტს წარმოადგენს კლიენტების პორტფელის დივერსიფიკაცია და ის ფაქტი, რომ (COVID-19) ით გამოწვეულ ეკონომიკურ სირთულეებს ჯგუფი წარმატებით გაუმკლავდა 2020 წლის განმავლობაში.

ანგარიშგების თარიღის შემდგომ, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად ჯგუფში შემავალი კომპანიები (სს "თბილისის საფონდო ბირჟის" გარდა) სავალდებულო წესით გახდნენ დღგ-ს გადამხდელნი. თუმცა, არ არის მოსალოდნელი ამ მოვლენამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ჯგუფის საქმიანობაზე, ვინაიდან ჯგუფის დღგ-თი დასაბეგრი ბრუნვა უმნიშვნელოა.

ჯგუფმა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ გადაიხადა სს "კავკასრეესტრის" ყოფილი მმართველო ორგანოს განაცდური ხელფასი, რაც დაეკისრა სასამართლო დავის დასრულების შედეგად.

ანგარიშგების თარიღის შემდგომ, სასამართლო დავის დასრულების შედეგად გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში "თსბ"-ს ცალკეული აქტივების გამოყენებაზე დაწესებული აკრძალვა.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.

*****